# პირველნი — მწვანე მინდორზე



საქართველოს მოსწავლეთა XXII სპარტაკიადაში კარგი თამაშით გაგვახარა თბილისის მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო განათლების განყოფილების ფეხბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელებით (სკოლის დირექტორი შ. მერკვილაძე, უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს. სიხარულიძე, მწვრთნელი კ. ოდიკაძე).

ამ სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა გამოავლინეს კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება, ყველა მეტოქე დაამარცხეს, დაიკავეს I ადგილი, მიიღეს ოქროს მედლები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასი.

სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან) — გ. ხაჩატუროვი, ვ. პარასტაევი, ო. რიგვავა, თ. ადეიშვილი, ა. სიხარულიძე, რ. ჭეიშვილი, ი. ყარყარაშვილი, რ. ინდიაშვილი; დგანან — უფროსი მწვრთნელი ს. სიხარულიძე, მწვრთნელი კ. ოდიკაძე, დ. ჟორდანია, გ. ლომაია, კ. ვაშაკიძე, ო. ძიაპშიპა, გ. კრავჩენკო, მ. ჭკუასელი, ო. ცინცაძე, ვ. ლარიონოვი.

ი. იუნაევის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 131 (4125)

1970 წ. 7 ივლისი, სამშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


8.22,0 — ეს იქნება ამიერიდან მსოფლიო რეკორდი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში. ამ შესანიშნავ შედეგს დასავლეთ ბერლინში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიაღწია ავსტრალიელმა კერი ო'ბრაინმა. მან 0,2 წამით გააუმჯობესა კაუნასელი ვ. დუდინის შარშანდელი რეკორდი.

4 ივლისამდე ევროპის რეკორდი 4×200 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში 1 წუთსა და 23,6 წამს უდრიდა. შაბათს კი საფრანგეთის გუნდმა პარიზის სტადიონზე ზემოაღნიშნული რეკორდი დაამხო — 1.23,3. მაგრამ ამ მიღწევას დიდი დღე არ ეწერა: დასავლეთ ბერლინში იმავე დღეს გფრ-ის მძლეოსნებმა შესანიშნავად გაირბინეს ესტაფეტა — 1.22,4.

# პეტუშკოვა და მისი პეპელი



დასავლეთ გერმანია. ქალაქ აახენში, ცხენის გახედნის ოსტატთა მსოფლიო ჩემპიონატში, ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა მოსკოველმა ე. პეტუშკოვამ (ცხენი — პეპელი). საბჭოთა სპორტსმენმა 2.738 ქულა დააგროვა და მსოფლიო ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. წინადღით პეტუშკოვამ, კიზიმოვმა და კალიტამ ოქროს მედლები მიიღეს გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ე. პეტუშკოვა.

იუპი—საკდესის ტელეფოტო.

# არნახული წარმატებით

კოსტრომაში მიმდინარეობს რსფსრ-ს ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტში. შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობენ საქართველოს მხედრებიც. ასპარეზობა ტარდება საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის პროგრამით.

დაბრკოლებათა გადალახვაში „რსფსრ-ს თასზე" შესანიშნავად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა (ა. მარეიკო, კ. გაშიბაიაზოვი, ვ. კრაინენკო, დ. მალანია), რომელთაც გუნდური I ადგილი მოიპოვეს. ისინი ბრწყინვალედ გამოვიდნენ პირად შეჯიბრებაშიც: მარეიკომ I ადგილი და ჩემპიონობა დაისაკუთრა — 16 საჯარიმო ქულა. 20 საჯარიმო ქულით III ადგილზე გავიდა გაშიბაიაზოვი. VI ადგილზეა კრაინენკო.

დაბრკოლებათა გადალახვაში — „ძალისმიერი ხტომები" — წინაღობათა სიმაღლე 150 სმ-ს უდრიდა. თუ სპორტსმენი ამ გამოცდას უშეცდომოდ ჩააბარებდა, დაბრკოლებათა სიმაღლე 10-10 სანტიმეტრით მატულობდა. როცა სიმაღლემ 190 სმ-ს მიაღწია, სარბიელზე მხოლოდ ორი მონაწილე დარჩა: გაშიბაიაზოვი და მოსკოველი მხედარი. საბოლოოდ გამარჯვება ჩვენი გუნდის წევრს ხვდა წილად.

ასეთი წარმატებით საქართველოს მხედრებს საკავშირო სარბიელზე ჯერ არ უასპარეზიათ.

# ცოტაც და... ჩემპიონები გახდებოდნენ

ლონდონი, 5 ივლისი. უიმბლდონის ტურნირის ფინალში მეორედ გავიდა საბჭოთა წყვილი — მოსკოველი ო. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი. და მეორედ დამარცხდა. შერეულ წყვილთა თანრიგში ჩემპიონები გახდნენ ამერიკელი რ. კაზალსი და რუმინელი ი. ნესტასე. მათ უაღრესად მწვავე ბრძოლაში სძლიეს საბჭოთა დუეტს — 6:3, 4:6, 9:7.

რა თქმა უნდა, მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატში, რომელიც 84-ედ ჩატარდა, II ადგილიც ძალიან დიდი მიღწევაა. ასეთივე წარმატება მოიპოვა 17 წლის ალმაათელმა ჩოგბურთელმა მ. კროშინამ: გოგონათა ტურნირის ფინალში მან დაძაბული ბრძოლა გაუჩაღა ამერიკელ შ. ვალშს, მაგრამ მაინც დამარცხდა — 6:8, 4:6.

ვაჟთა ფინალურ შეხვედრას უკანასკნელი 21 წლის მანძილზე პირველად დასჭირდა ხუთი ხელი: ავსტრალიელების ჯ. ნიუკომბისა და კ. როზუოლის ბრძოლა 2 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა. გაიმარჯვა 26 წლის ნიუკომბმა (როზუოლი 35 წლისაა) — 5:7, 6:3, 6:2, 3:6, 6:1. როზუოლი მესამედ გავიდა უიმბლდონის ტურნირის ფინალში და მისი სიტყვებით, „უკანასკნელი შანსი გაუშვა ხელიდან".

ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს ამერიკელებმა კინგმა და კაზალსმა.

# ბრწყინვალე სტარტები

ედმონტონი, 6 ივლისი. კანადის ამ ქალაქში დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა „კლასიკოსებმა" ბრწყინვალედ აიღეს სტარტი: წინასწარი შეხვედრების შემდეგ 10 მოჭიდავიდან 8 ათლეტი განაგრძობს მედლებისთვის ბრძოლას. მხოლოდ ალმაათელი ვ. ბაკულინი (მჩატე წონა) და მოსკოველი ი. ზაიცევი (მსუბუქი) გამოეთიშნენ ტურნირს — 6-6 საჯარიმო ქულა მიიღეს.

ჩემპიონატი უაღრესად დაძაბული ბრძოლით ხასიათდება. საკმარისია ითქვას, რომ ფინალისტთაგან მხოლოდ სამი ათლეტია უჯარიმოდ. მათ შორისაა გდრ-ის წარმომადგენელი ჭ. ველინგი (მსუბუქი).

მინსკელმა ვ. ზუბკოვმა (უმჩატესი) წმინდად სძლია. სარის (თურქეთი), ხოლო ქულებით — ალიაბადეს (ირანი), ჰირვონენს (ფინეთი) და გაალას (უნგრეთი). ზუბკოვზე ნაკლები საჯარიმო ქულა მხოლოდ რუმინელ ბერჩიანუს აქვს.

მჩატე წონაში ლიდერობს ცნობილი ბულგარელი მოჭიდავე პ. კიროვი.

ტაშკენტელმა რ. კაზაკოვმა (ქვემსუბუქი) წმინდად დაამარცხა კროგსვარი (დანია), ქულებით სოლსგანი (ნორვეგია) და ახანგარანი (თურქეთი), ხოლო ფინელ ბიორლინთან ფრედ დაამთავრა ჭიდილი. აქ განსაკუთრებით საშიშია ი. ვარგა (უნგრეთი), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

ზედიზედ სამი გამარჯვება იზეიმა თბილისელმა რ. რურუამ (პირველი ქვესაშუალო): მან აჯობა ხიზირლის (თურქეთი), განბარის (ირანი) და დიეგოს (იტალია).

ასეთივე წარმატებას მიაღწია მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. იგუმენოვმა (მეორე ქვესაშუალო) — დაამარცხა შროტერი (გფრ), მეჰოლა (აშშ), შტეერი (უნგრეთი) და ბუტრაკოვი (ბულგარეთი).

თავისებური რეკორდი დაამყარა ალმაათელმა ა. ნაზარენკომ (პირველი საშუალო): მან 14 წამში ბეჭებზე დასცა შვედი კარსტრე. მანამდე ნაზარენკომ მოუგო ნენადიჩს (იუგოსლავია) და ხირაკის (იაპონია).

ალმაათელმა ვ. რიაზანცევმა (მეორე საშუალო) წმინდად დაამარცხა ლუნდაა (მონღოლეთი), ხოლო ქულებით — აკბარი (თურქეთი) და ნეგუცი (რუმინეთი).

ნ. იაკოვენკომ (ქვემძიმე) სამი შეხვედრა წმინდად მოიგო — ბეჭებზე დასცა ბენკო (კანადა), შიცუო (იაპონია) და ვილიამსი (აშშ). როსტოველმა ფრედ დაამთავრა ჭიდილი შესანიშნავ უნგრელ ათლეტთან კიშთან.

ლენინგრადელმა მძიმეწონოსანმა ა. როშჩინმა მოუგო ტოპუზსა (თურქეთი) და ვოიდას (პოლონეთი), ხოლო გფრ-ის წარმომადგენელ ბოკთან ფრეს დასჯერდა.

ახლა ბაკულინისა და ზაიცევის შესახებ: პირველმა ქულებით აჯობა ორ მეტოქეს, მერე კი ჯერ ფრედ დაამთავრა შეხვედრა მარინკოსთან (იუგოსლავია) და შემდეგ წააგო იაპონელ სუგიმაიასთან, ზაიცევმა კი სამ შეხვედრაში ქულებით იმარჯვა, მერე კი ველინგთან (გდრ) დამარცხდა.

წინაა ფინალური ბრძოლები.

* * *

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ თავისი რიგებიდან გარიცხა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. მიზეზი — აპარტეიდის პოლიტიკა, რასაც ამ ქვეყნის მთავრობა ატარებს. ეს გადაწყვეტილება 11 ივლისიდან შევა ძალაში.

# ნიჩბის ოსტატთა რეგატა

მოსკოვი, 6 ივლისი. (საკდესი). გუშინ ხიმკის წყალსაცავზე მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა რუსეთის IV საერთაშორისო რეგატა ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რსფსრ-ს, მოსკოვის, რუმინეთისა და ბულგარეთის ასამდე ოსტატი. 18 ფინალური გაცურვიდან, რომლებიც ორი დღის მანძილზე ჩატარდა შესანიშნავ ამინდში, სტუმრებმა მხოლოდ სამი მოიგეს.

გამარჯვებულთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არიან ევროპის ჩემპიონები ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში, ტაგანროგელი ა. ტიშჩენკო და იაროსლაველი ვ. ცარიოვი, რომელთაც მეტოქეები დაამარცხეს შესაბამისად 500 (1.56,8) და 1000-მეტრიან (4.23,2) დისტანციებზე. თავი გამოიჩინეს სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. მიშეჩკინამ (დონის როსტოვი), რომელმაც ერთადგილიანი ბაიდარით ყველას აჯობა 500 მეტრზე (2.17,2), და რუმინელმა გ. სიდოროვმა, რომელმაც ერთადგილიანი კანოებით 10 კილომეტრზე შეჯიბრებაში 51.50,8 აჩვენა.

ბევრი ნიჩბოსნისთვის რეგატა ბოლო გამოცდა იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ივლისის მიწურულს კოპენჰაგენში აიღებს სტარტს.





ჩვენს ქვეყანაშიც და უცხოეთშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული და სანადირო იარაღი, რომელსაც ტულის იარაღის ქარხანა უშვებს. სპორტულ პისტოლეტს ტოზ-35-ს, სპორტულ რევოლვერს ტოზ-36-ს და სპორტულ შაშხანას მც-12-ს ხარისხის ნიშანი მიანიჭეს.

სურათებზე: მარცხნივ — საამწყობო საამქროს ოსტატი ი. ანიკოვი მც-12-ის ხარისხს ამოწმებს; მარჯვნივ — ინჟინერ-ტექნოლოგი ე. ტროიცკაია აკვირდება, როგორაა გაკეთებული პისტოლეტი ტოზ-35.

ვ. მასლოვის ფოტო (საკდესი).

## ჩვენი მეგობარი რესპუბლიკებში

### მიხეილ გლები და მისი გუნდები

„ოჯახში ექვსი ძმა ვიყავით. მე მეორე გახლდით. ყველას ძალიან გვიყვარდა ფეხბურთი. ერთ გუნდში ვთამაშობდით. უფროსები უმცროსებს მზრუნველობას უწევდნენ და მე, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან მივეჩვიე საშეფო მუშაობას", — გვითხრა მინსკის სამშენებლო-საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორმა მ. გლებმა, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე წელია საზოგადოებრივ საწყისებზე წვრთნის მინსკის პირველი მაისის სახელობის რაიონის 23-ე სახლმმართველობის ნორჩ ფეხბურთელებსა და ჰოკეისტებს.

ექვსივე ძმამ ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ზოგი ინჟინერი გახდა, ზოგი — მეცნიერ-მუშაკი, მაგრამ ფეხბურთი არ დაივიწყებიათ (სხვათა შორის, ერთ-ერთი ძმა — გენადი, პროფესიით ინჟინერი, ყარაგანდის „შახტიორში" თამაშობს). ინსტიტუტში მათ „გლებების გუნდს" ეძახდნენ. ამ საოჯახო ფიზკულტურულმა კოლექტივმა ინსტიტუტის ნაკრებსაც კი აჯობა.

მ. გლებს ფეხბურთში I თანრიგი აქვს. კარგმა მომზადებამ და სპორტის სიყვარულმა მოუხვეჭა მას ავტორიტეტი ბავშვებში. გლების ყოფილ აღსაზრდელებს შემდეგ თავიანთი უმცროსი ძმები და ნაცნობები მიჰყავდათ მასთან, ასე იქმნებოდა ტრადიციები, საძირკველი ეყრებოდა წარმატებას. ახლა 23-ე სახლმმართველობის კოლექტივი სპორტკლუბ „მაიაკის" სახელს ატარებს.

სპორტკლუბში ბავშვები მეცადინეობენ ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში, მონაწილეობენ ტურისტულ ლაშქრობებში. ისინი საკუთარი ძალებით აწყობენ სპორტულ მოედნებს.

მ. გლები თავისი აღსაზრდელების მშობლებსაც იცნობს. თუ საჭიროა (ვთქვათ, თუ ვინმემ ორიანი მიიღო), შინაც აკითხავს მათ. „მაიაკის" სპორტსმენებს ოცამდე სხვადასხვა პრიზი აქვთ მოპოვებული. ახლა მ. გლების გუნდები „ტყავის ბურთის" პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობენ.

დ. ვლადიმიროვი,
ვ. დუტოვი.
(საკდესის კორ.).

მინსკი.



ეს მსუბუქი, ეკონომიური აპარატი აეროამძრავი „მპი-4", რომელიც მარითის გორკის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა, ახლა სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე, „სახალხო განათლების" პავილიონში, შეგიძლიათ ნახოთ.

როცა მოთხილამურეს ასეთი ამძრავი აქვს მხრებზე მორგებული, მას შეუძლია ნათხილამურევზე ან მაგარ თოვლზე საათში 50 კმ სისწრაფით ისრიალოს და 30-გრადუსიანი დახრილობის დაღმართი გადალახოს. ყამირზე კი სანადირო ან ტურისტული თხილამურებით საათში 30-35 კმ სისწრაფის განვითარება შეიძლება.

„მპი-4" შეიძლება დამაგრდეს მსუბუქ ნავზე ან ტურისტულ ბაიდარზე, როცა ჩვეულებრივი საკიდი ძრავის გამოყენება არ ხერხდება.

ნ. ხრენიკოვის ფოტო (საკდესი).

# საქართველოს 10 საუკეთესო

## მძლეოსნობა

### 1969 წლის შედეგების მიხედვით

### 100 მ თარჯრბენი

**ევროპის რეკორდი — 12,9.**
**ქ. ბალცერი (გდრ), 1969.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 13,4.**
**ლ. ხიტრინა (ოდესა), 1969.**

**საქართველოს რეკორდი — 14,2.**
**ლ. იევლევა (თბილისი), 1968.**

რ. ჩუბინიძე — 14,4 (52), ქუთაისი, განათლების განყოფილება. 17. VII, ლენინაკანი; ლ. იევლევა — 14,7 (41), თბილისი, „სპარტაკი". 4. IV, თბილისი; თ. როჟმანოვა — 14,7 (43), თბილისი, ასკ. 20. V, თბილისი, მ. ალიაკრინსკაია — 14,8 (54), თბილისი, განათლების განყოფილება. 19. VII, ლენინაკანი. თ. რეფერდი — 14,9 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 17. VII, ოგრე; ს. ზგონიკოვა — 14,9 (51), თბილისი, „ლოკომოტივი", 17. VII, ოგრე; თ. ეპიფანოვა — 15,4 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 26. X, თბილისი; ლ. ლაბუზნაია — 15,7 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 13. VI, თბილისი; ე. ყარდაშოვა — 15,8 (54), ბათუმი, განათლების განყოფილება. 13. VI, თბილისი; ს. პონომარიოვა — 16,0 (49), ბათუმი, „დინამო". 9. VII, ბათუმი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — არ ყოფილა, 1969 წ. — 15,1

### 200 მ თარჯრბენი

**ევროპის რეკორდი — 26,5.**
**ქ. ბალცერი (გდრ), 1969.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 26,9.**
**რ. ბაბიჩი (ტაშკენტი), 1969.**

**საქართველოს რეკორდი — 31,3.**
**თ. რეფერდი (თბილისი), 1969.**

თ. რეფერდი — 31,3. 5. X, პიატიგორსკი; ი. ილინა — 31,8 (51), თბილისი, „ლოკომოტივი". 19. VII, ოგრე; ს. პონომარიოვა — 31,8. 19. VII, ოგრე; დ. სუბოტინა — 31,8. 29. VI, თბილისი; ვ. თეთრაძე — 32,0 (41), თბილისი, „განთიადი". 29. VI, თბილისი; ლ. პროვოტოროვა — 32,5 (52), თბილისი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი; ლ. კორობკო — 34,3 (52), ქუთაისი, „დინამო". 13. VII, ბათუმი; ლ. ტროფიმენკო — 34,5 (52), თბილისი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი; თ. ორლიხინა — 35,0 (52), თბილისი, „სპარტაკი". 6. IV, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — არ ყოფილა, 1969 წ. — 32,5.

### ესტაფეტა 4×100 მ

**ევროპის რეკორდი — 44,4.**
**სსრ კავშირის ნაკრები, 1968.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 44,4.**
**სსრ კავშირის ნაკრები, 1968.**

**საქართველოს რეკორდი — 47,2.**
**საქართველოს ნაკრები, 1966.**

საქართველოს ნაკრები (დ. სუბოტინა, ლ. ლობზევა, თ. ეპიფანოვა, გ. კონონენკო) — 48,2. 24. VI, თბილისი; გოგონათა რესპუბლიკური ნაკრები (მ. გელაშვილი, ი. გონჩაროვა, ვ. გოლობოროდკო, ლ. ფარცვანია) — 48,3 18. VII, ლენინაკანი; საქართველოს ნაკრები (ნ. ლომიძე, თ. როჟმანოვა, ვ. იახშიანი, ვ. ქუთათელაძე) — 48,6. 30. V, თბილისი; საქართველოს ნაკრები (თ. როჟმანოვა, დ. სუბოტინა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე) — 48,6. 19. VII, ოგრე; „ლოკომოტივი" — 50,2. 24. VI, თბილისი; გოგონათა რესპუბლიკური ნაკრები (ტ. სერდიუკოვა, ნ. ლომიძე, თ. ეპიფანოვა, ე. ტიტკოვა) — 52,2. 5. X, პიატიგორსკი, „ბურევესტნიკი" (ნ. ლომიძე, თ. ეპიფანოვა, ტ. სერდიუკოვა, დ. სუბოტინა) — 50,4. 28. X, თბილისი; თბილისის გოგონათა ნაკრები — 50,6. 13. IX, თბილისი; თბილისის გოგონათა ნაკრები (ე. ჩხაიძე, მ. ალიაკრინსკაია, ი. გონჩაროვა, მ. გელაშვილი) — 53,7. 13. VI, თბილისი; აჭარის გოგონათა ნაკრები (ვ. ფედოსეენკოვა, თ. გოლობოროდკო, ე. სტაშკინა, ი. შჩერბინინა) — 51,4. 13. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 50,7, 1969 წ. — 49,7.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 55, 68.

### ესტაფეტა 4×400 მ

**ევროპის რეკორდი — 3.30,8.**
**ინგლისის ნაკრები, 1969.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 3.46,0.**
**საწყისი ნორმატივი.**

**საქართველოს რეკორდი — 3.57,8.**
**საქართველოს ნაკრები, 1969.**

საქართველოს ნაკრები (ლ. პაპოკა, ბ. სუბოტინა, ლ. კორკოტაძე, ტ. სერდიუკოვა) — 3. 57,8. 20. VII, ოგრე; საქართველოს ნაკრები (ლ. პაპოკა, ლ. ჭარბაძე, ტ. სერდიუკოვა, ლ. კორკოტაძე) — 4.00.7, 3. V, თბილისი; საქართველოს გოგონათა ნაკრები (ტ. სერდიუკოვა, თ. ეპიფანოვა, ე. ტიტკოვა, ლ. კორკოტაძე) — 4.10,7. 4. X, პიატიგორსკი; „კოლმეურნე" (ი. ვედენეევა, ც. წყაროზია, ლ. ხრიავინა, ს. პასენოვა) — 4.33,8. 26. X, თბილისი; სამხრეთ ოსეთის გოგონათა ნაკრები — 4.47,3. 13. IX, თბილისი; „სპარტაკი" (ე. ჩხაიძე, მ. შამიაროშვილი, ჯ. ჩუბინიძე, ე. გოშაშვილი) — 4. 52,6, 26. X, თბილისი.

საშუალო შედეგი: — 1968 წ. — არ ყოფილა, 1969 წ. — 4. 23,8.

### სიგრძეზე ხტომა

**ევროპის რეკორდი — 682 სმ.**
**ვ. ვისკოპოლეანუ (რუმინეთი), 1968.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 673.**
**ტ. შჩელკანოვა (ლენინგრადი), 1968.**

**საქართველოს რეკორდი — 625.**
**ნ. დვალიშვილი (თბილისი) 1954.**
**ლ. იევლევა (თბილისი), 1960.**

ლ. იევლევა — 605. 27. IX, ნალჩიკი; ც. ჩოლაშვილი — 586 (47), თბილისი, „დინამო", 27. VI, თბილისი; ვ. ფედოსეენკოვა — 576. 10. VI, თბილისი; ს. პონომარიოვა — 570. 20. VII, ოგრე; თ. ეპიფანოვა — 568. 26. X, თბილისი; ლ. ლომიძე — 561. 26. X, თბილისი; ა. კურგნია — 557 (53), სამტრედია, განათლების განყოფილება. 10. VI, თბილისი; ლ. გუკი — 555 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 7. VI, თბილისი; ლ. არღუნი — 553 (54), სოხუმი, „დინამო". 15. IV, სოხუმი; ლ. ვორონკოვა — 550. 9. VI, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 560, 1969 წ. —568.

### სიმაღლეზე ხტომა

**ევროპის რეკორდი — 191 სმ.**
**ი. ბალაში (რუმინეთი), 1961.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 184.**
**ა. ლაზარევა (მოსკოვი), 1968.**

**საქართველოს რეკორდი — 165.**
**ს. როზანოვა (თბილისი), 1957.**
**ლ. ბატარიძე (თბილისი), 1961.**

ჯ. ჩუბინიძე — 163 (48), თბილისი, „სპარტაკი", 19. VII, ოგრე. ლ. შუმილინა — 159 (47), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. VIII, მოსკოვი; ლ. ვორონკოვა — 157, 6. VI, თბილისი; ლ. გუკი — 156. 27. VI, თბილისი; ს. ხრიპკო — 156 (53), თბილისი, განათლების განყოფილება. 29. V, თბილისი; ს. პონომარიოვა—155. 17. V, ბათუმი; ვ. ფედოსეენკოვა — 150. 7. VII, ლენინაკანი; ტ. ორლოვა — 150 (52), სოხუმი, „დინამო". 10. X, სოხუმი; ლ. ილიუშინა — 150 (51) სოხუმი, „დინამო", 21. IV, სოხუმი, ი. ეგრანოვა — 150 (52), თბილისი, განათლების განყოფილება. 18. VII, ლენინაკანი; ლ. ბაირამოვა — 150 (51), თბილისი, „ბურევესტნიკი". 27. V, თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ. — 151,5, 1969 წ. — 154,5.

### ბადროს ტყორცნა

**ევროპის რეკორდი — 63,96.**
**ლ. ვესტერმანი (გფრ), 1969.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 59,70.**
**თ. პრესი (მოსკოვი), 1965.**

**საქართველოს რეკორდი — 57,04.**
**ნ. დუმბაძე (თბილისი), 1952.**

ლ. ტუღუში — 50,60 (35), თბილისი, „დინამო". 25. VIII, თბილისი; ც. ჯაფარიძე — 49,18 (48), თბილისი, „კოლმეურნე". 28. VI, თბილისი; ვ. კომაროვა — 48,08 (47), თბილისი, „სპარტაკი". 12. XII, თბილისი; ნ. ლაბაძე — 47,28 (54), ხაშური, განათლების განყოფილება. 20. IV, ხაშური; ი. მხეიძე — 44,44 (40), თბილისი, „ლოკომოტივი". 19. VII, ოგრე; ა. მატუსოვა — 42,85. (47), თბილისი, „სპარტაკი". 3. IX, თბილისი; ე. ჩანგელიანი — 42,15 (51), თბილისი, „კოლმეურნე". 21. XI, თბილისი; გ. ბერაია — 42,05 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 28. VI, თბილისი; ლ. ასატუროვა — 41,76. (47), თბილისი, „განთიადი". 28. VI, თბილისი; მ. გაბრიჩიძე — 40,75 (45), ქუთაისი, „დინამო". 4. X, ქუთაისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ.—42,61, 1969 წ. — 44,41.

### ბირთვის კვრა

**ევროპის რეკორდი — 20,43.**
**ნ. ჩიჟოვა (სსრ კავშირი), 1969.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 20,43.**
**ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადი), 1969.**

**საქართველოს რეკორდი — 14,60.**
**მ. თათარაშვილი (თბილისი), 1966.**

ლ. ტუღუში — 14,05. 24. VIII, თბილისი; გ. ბერაია — 13,52. 26. X, თბილისი; ქ. კახიშვილი — 12,53 (39), რუსთავი, „განთიადი". 27. VI, თბილისი; ც. ლიპარტელიანი — 12,36 (46), თბილისი, „კოლმეურნე". 7. VI, თბილისი; ვ. თეთრაძე — 11,88. 27. VI, თბილისი. ლ. დენისოვა — 11,70 (52), თბილისი, განათლების განყოფილება. 13. VI, თბილისი. ს. პონომარიოვა — 11,53. 27. IV, ბათუმი; ვ. კომაროვა — 11.46. 26 X, თბილისი, ვ. ფედოსეენკოვა — 11,45. 22. VII, ლენინაკანი; ს. ხრიპკო — 11.45. 26. X. თბილისი.

საშუალო შედეგი: 1968 წ.—12,48, 1969 წ. — 12,19.

### შუბის ტყორცნა

**ევროპის რეკორდი — 62,40.**
**ე. გორჩაკოვა (სსრ კავშირი), 1964.**

**სსრ კავშირის რეკორდი — 62,40.**
**ე. გორჩაკოვა (მოსკოვი), 1964.**

**საქართველოს რეკორდი — 51,58.**
**ც. ლიპარტელიანი (თბილისი), 1968.**

ც. ლიპარტელიანი—51,36. 20. VII, ოგრე; დ. საბაური — 49,84 (50) თბილისი, „ბურევესტნიკი". 30. VI, თბილისი; გ. ხევსურიშვილი — 44,64 (50), თბილისი, „ბურევესტნიკი". 28. X, თბილისი. ს. პოლი — 43,14 (47), სოხუმი, „დინამო". 21. VII, რიგა; ვ. სლანოვა — 39,68 (47), ცხინვალი, „ბურევესტნიკი". 8. VI, თბილისი; ზ. შანგუა — 37,60 (39), თბილისი, „ბურევესტნიკი". 6. IV, თბილისი; ზ. ალბოროვა — 37,30 (53), ცხინვალი, „დინამო", 14. XI, ცხინვალი; ლ. მანაშეროვა — 35,43 (50), სოხუმი, „დინამო". 10. VII, სოხუმი; მ. გუსოევა — 35,78 (52), თბილისი, „დინამო". 15. VII, ლენინაკანი; ბ. ჟანეევა — 35,40 (52), თბილისი, „სპარტაკი". 8. III, დონეცკი.

საშუალო შედეგი: 1968 წ.—39,67, 1969 წ. — 41,02.

### ხუთჭიდი

**ევროპის რეკორდი — 5352 ქ.**
**ლ. პროკოპი (ავსტრია), 1969.**

**სსრ კავშირის რეკორდი — საწყისი ნორმატივია 4900 ქ.**

**საქართველოს რეკორდი — საწყისი ნორმატივია 4500 ქ.**

ლ. შუმილინა — 4100. 17-18 VI, ხარკოვი, ვ. ფედოსეენკოვა — 4042. 17-18. VII, ლენინაკანი; ლ. ვორონკოვა — 3937. 8-9 VI, თბილისი. ს. პონომარიოვა — 3796. 9-10. VII, ბათუმი, ლ. გუკი — 3768. 8-9. VI, თბილისი. ნ. ალექსეევა — 3647 (52), გაგრა, „დინამო", 12-13. VI, თბილისი. ი. ხუბაევა — 3583 (51), თბილისი, განათლების განყოფილება. 17-18. VII, ლენინაკანი; ს. მარჩენკო — 3452 (46), თბილისი, „განთიადი". 27-28. VI, თბილისი. დ. ჯულელი — 3282 (51), ქუთაისი, „განთიადი". 27-28. X, თბილისი; ე. მუხანა — 3268 (52), სოხუმი, „დინამო". 10-11. V, სოხუმი.

საშუალო შედეგი: 1968 წ.—3689, 1969 წ. — 3686.

• • •

შენიშვნა: ხუთჭიდში 80 მეტრზე თარჯრბენის მაგიერ 1969 წლიდან შემოღებულია 100 მეტრზე თარჯრბენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუანიტო და მისი მეგობრები

## ჩემპიონატის პრეს-ცენტრში

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მიმავალმა საბჭოთა სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა 15 საათში უზარმაზარი ნახტომი გავაკეთეთ: დილის ცხრის ნახევარზე ჩვენი „ილ-62" მოსწყდა შერემეტიევოს ასაფრენ ბილიკს და იმავე დღეს, დაახლოებით ღამის 11 საათზე მეხიკოს დროით, ამერიკული თვითმფრინავის ბორბლები რბილად შეეხო მექსიკის დედაქალაქის აეროდრომის ბეტონს. უკან დარჩა 14 ათასი კილომეტრი...

ხანგრძლივი ფრენით დაქანცულები ღამის მეხიკომ გამოგვაფხიზლა: თვითმფრინავის ილუმინატორებიდან გადაიშალა ელნათურებისა და შუქრეკლამების უკიდეგანო ოკეანე. ეს იყო საოცარი სანახაობა... ზევიდან ისე ჩანდა, თითქოს ამ უზარმაზარ ქალაქს უამრავი ათასფრად მოკაშკაშე ცისარტყელის მოციმციმე შარავანდედი ეხურა თავზე.

ქალაქში შესვლისთანავე დავრწმუნდით, რომ იგი ფეხბურთით ცხოვრობდა. IX მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ათასნაირი შუქრეკლამები, მაღაზიათა ვიტრინებიდან მომღიმარი ხუანიტო და ბურთზე შემჯდარი არწივის მართვე პიკო, დიდი და პატარა ბურთები, ბურთები ყველგან — ავტომანქანების პარპრიზებსა და უკანა სარკმლის მინაზე, სასტუმროებისა თუ რესტორნების ვესტიბიულებში, კინოთეატრების ჰოლებში... ერთი სიტყვით, ყველგან, ყველგან...

... ჩვენი სასტუმრო „მარია იზაბელი" ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე — რეფორმის ქუჩაზეა. ამავე სასტუმროშია ჩემპიონატის პრეს-ცენტრი, რომელსაც ვარდისფერ მინი-კაბებში გამოწყობილი მშვენიერი ქალიშვილები ემსახურებიან. წინასწარ უნდა მოგახსენოთ: სტუმართმოყვარე მასპინძლებმა საუცხოოდ გაართვეს თავი ამ რთული საფეხბურთო შეჯიბრების ჩატარებას. ერთობ ოპერატიულად გამოდიოდა ბიულეტენები, მატჩების ოქმები, თამაშის შემდგომ გამართული პრეს-კონფერენციების სტენოგრამები. ტრანსპორტის საკითხიც კარგად იყო მოგვარებული. ხუმრობა საქმეა? — ჩვენს სასტუმროს „აცტეკის" სტადიონიდან თითქმის 17 კილომეტრი აშორებდა!

პრეს-ცენტრის ერთ-ერთ დიდ დარბაზში დილიდან შუაღამემდე არ წყდებოდა საბეჭდი მანქანების კაკუნი. რომელი ქვეყნის ჟურნალისტებს არ შევხვდებოდით ამ ვეებერთელა დარბაზში! მეზობელ ოთახებში მდგარ ტელევიზორებთან ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჟურნალისტთა ჯგუფები, მაგრამ „ფეხბურთის ენა" ყველასთვის გასაგები იყო: ყველა აღტაცებული იხრავდა პელეს ფანტასტიკური ოსტატობისა თუ მიულერის გოლების გამო...

ტელეგადაცემებიც ძალიან აზრიანად იყო მოწყობილი. დღის განმავლობაში ნაჩვენები მატჩების გარდა, ყოველ საღამოს გვიჩვენებდნენ ყველა შეხვედრაში მომხდარ მწვავე მომენტებსა და გატანილ გოლებს. მერე წინა ტურში გატანილ ბურთებსაც გვიჩვენებდნენ და იმდღევანდელსაც (თანაც, რამდენიმე წერტილიდან, შენელებულად). ასე რომ, ჩემპიონატის მიწურულს პირდაპირ გოლების კორიანტელი იდგა...

პრეს-ცენტრში დილიდან შუაღამემდე ჩქეფდა ბობოქარი ცხოვრება. რომელ ქალაქს არ ასახელებდა მონოტონური ხმით ტელეფონისტი ქალი: სტოკჰოლმი და რიო-დე-ჟანეირო, მოსკოვი და რომი, ლონდონი, ბონი, ჰელსინკი... აქ ბევრი ჟურნალისტი იმ ქვეყნებიდანაც იყო, რომელთა გუნდები ფინალური ტურნირის მიღმა დარჩნენ.

ჟურნალისტები კამათობდნენ, პროგნოზებს აკეთებდნენ, ნაძლევს დებდნენ: თავდაპირველად ფავორიტებად უმთავრესად ასახელებდნენ ბრაზილიის, ინგლისის, გფრ-ისა და სსრ კავშირის გუნდებს. მექსიკის ნაკრებს, მასპინძელთა გარდა, მაინცდამაინც სერიოზულ მეტოქედ არავინ მიიჩნევდა. ასეც მოხდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ფავორიტთა შორის ზოგიერთს აშკარად მოეცარა ხელი და ჩემპიონატმა მათ ნაცვლად სხვა გუნდების ბრწყინვალე თამაში გვიჩვენა.

მ. კაკაბაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მეხიკო — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი მიულერი ისვენებს იტალიის ეროვნულ გუნდთან მატჩის დამატებითი ტაიმის წინ.

## გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი — „ბ" კლასი

მდგომარეობა 7 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 16 | 9 | 5 | 2 | 18—5 | 23 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 17 | 8 | 7 | 2 | 20—8 | 23 |
| „ქაირატი" (ალმა-ათა) | 16 | 8 | 5 | 3 | 27—11 | 21 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 16 | 6 | 9 | 1 | 20—10 | 21 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 16 | 8 | 5 | 3 | 15—8 | 21 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 16 | 8 | 4 | 4 | 16—8 | 20 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 17 | 5 | 9 | 3 | 11—5 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 16 | 6 | 6 | 4 | 15—16 | 18 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 16 | 6 | 5 | 5 | 17—16 | 17 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 16 | 4 | 7 | 5 | 16—13 | 15 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 16 | 4 | 7 | 5 | 12—10 | 15 |
| „პამირი" (დუშანბე) | 16 | 5 | 5 | 6 | 15—17 | 15 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 16 | 5 | 5 | 6 | 10—16 | 15 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 16 | 6 | 3 | 7 | 12—23 | 15 |
| ასკ (კიევი) | 16 | 6 | 2 | 8 | 19—18 | 14 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 16 | 5 | 4 | 7 | 15—17 | 14 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 16 | 4 | 6 | 6 | 9—13 | 14 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 16 | 4 | 5 | 7 | 17—24 | 13 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 16 | 5 | 2 | 9 | 14—19 | 12 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 16 | 4 | 4 | 8 | 11—20 | 12 |
| „დაუგავა" (რიგა) | 16 | 3 | 6 | 7 | 11—22 | 12 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 16 | 2 | 1 | 13 | 8—29 | 5 |

## ორი წაგება

II ჯგუფი — „ბ" კლასი

3 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საკავშირო პირველობაზე „ა" კლასის II ჯგუფის II ზონაში.

საქართველოს გუნდებს გასვლითი შეხვედრები ჰქონდათ და ორივე მატჩი წააგეს: ბათუმის „დინამო" დამარცხდა მაიკოპში „დრუჟბასთან" (0:2), ხოლო გორის „დილა" — ნალჩიკში „ავტომობილისტთან" (0:3).

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო" (მახაჩყალა) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 0:2, „ფოლადი" (სუმგაითი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 0:3, „დინამო" (კიროვაბადი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 3:0, „სტალი" (ვოლგოგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „სატურნი" (რიბინსკი) 1:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „ვოლგა" (კალინინი) 1:1, „ლოკომოტივი" (კალუგა) — „ვოლგა" (გორკი) 2:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „მეტალურგი" (ტულა) 1:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 16 | 7 | 7 | 2 | 19—12 | 21 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 16 | 7 | 6 | 3 | 23—6 | 20 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 16 | 9 | 2 | 5 | 23—14 | 20 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 16 | 7 | 6 | 3 | 16—13 | 20 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 15 | 6 | 7 | 2 | 12—6 | 19 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 16 | 8 | 3 | 5 | 21—16 | 19 |
| „დინამო" (ბათუმი) | 16 | 7 | 5 | 4 | 14—11 | 19 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 16 | 7 | 4 | 5 | 16—11 | 18 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 16 | 6 | 6 | 4 | 16—15 | 18 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 16 | 6 | 5 | 5 | 21—17 | 17 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 16 | 6 | 5 | 5 | 14—12 | 17 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 15 | 6 | 5 | 4 | 15—17 | 17 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 16 | 6 | 4 | 6 | 17—10 | 16 |
| „დილა" (გორი) | 16 | 6 | 4 | 6 | 20—19 | 16 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 16 | 4 | 7 | 5 | 14—17 | 15 |
| „ვოლგა" (გორკი) | 16 | 4 | 6 | 6 | 14—19 | 14 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 16 | 3 | 7 | 6 | 12—15 | 13 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 16 | 4 | 5 | 7 | 15—23 | 13 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 16 | 4 | 4 | 8 | 18—21 | 12 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 16 | 4 | 3 | 9 | 14—27 | 11 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 16 | 2 | 5 | 9 | 6—16 | 9 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 16 | 1 | 4 | 11 | 5—28 | 6 |

„ბ" კლასი

II ზონა, I ქვეჯგუფი

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ „ბ" კლასში თავისი არსებობის მანძილზე ფოთის „კოლხეთს" ასე კარგად ჯერ არ უთამაშია. გუნდი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით, რომლებიც მონდომებით, ენერგიულად თამაშობენ და ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ კოლექტივის წარმატებაში.

ასე ჩაატარა „კოლხეთმა" საკუთარ მინდორზე განვლილი ტურის მატჩი 4 ივლისს ზონის ლიდერთან — რუსთავის „მეტალურგთან". მართალია, სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ სტუმრებიც, მაგალითად, ალადაშვილმა ძელს მოახვედრა ბურთი, მაგრამ საერთო უპირატესობა უმთავრესად ფოთელებს ჰქონდათ. მათ საიმედო დაცვა შექმნეს ბურჭულაძის, კალიუჟინოვის, ბასილაიას, გუდავაძის სახით. შეტევაში გამოირჩეოდნენ ჩაბანოიძე, ამაღლობელი, სიჭინავა, ალმასია.

განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს მასპინძლებმა შეხვედრის მეორე ნახევარი; როცა „მეტალურგის" მცველებსა და მეკარე ნარსიას დიდი ჯაფა დაადგათ. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ნარსია, რომელმაც არაერთხელ იხსნა „მეტალურგის" კარი. მაინც, ფოთელებმა ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება და ფრეს დასჯერდნენ — 0:0.

ბ. ბასილაია.

* * *

ამ დღეს მახარაძის „მერცხალმა" მოუგო „ალაზანს" (გურჯაანი) — 2:0, ლანჩხუთის „გურიამ" — „კახეთს" (თელავი) — 4:0, ვანის „სულორმა" — ტამბოვის „სპარტაკს" — 1:0. ცხინვალის „სპარტაკმა" ფრედ ითამაშა ხარანსკის თანაკლუბელებთან — 1:1.

## მოზარდთა ტურნირები

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრებები.

**შახტიში** ტარდება მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება „სიჭაბუკის თასზე". აქ კარგად თამაშობს საქართველოს გუნდი (მწვრთნელები ა. ვარდიაშვილი, კ. ყრუაშვილი). მან ანგარიშით 3:1 დაამარცხა უზბეკეთის ნაკრები და ფრედ (1:1) ითამაშა რსფსრ-ს ფეხბურთელებთან. საქართველოსა და რსფსრ-ს გუნდები ლიდერობენ შეჯიბრებას.

**კრემენჩუგი.** აქ მიმდინარეობს ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ნახევარფინალური ტურნირი, სადაც საქართველოს გუნდებიდან გამოდის ბათუმის „დინამო". ბათუმელებმა მოუგეს ცსკა-ს (1:0) და ფრედ ითამაშეს ბაქოს „ნეფთჩისთან" (2:2).

**ბარანოვიჩში** თამაშობენ თბილისის განათლების განყოფილების ნორჩი ფეხბურთელები. მათ ორი მატჩი ჩაატარეს ლვოვის „კარპატისთან" და მინსკის „დინამოსთან" და ორივე მოიგეს (შესაბამისად — 1:0 და 4:0).

## კენჭისყრა — დღეს

დღეს მოსკოვში, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში, მოხდება თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" წყვილის კენჭისყრა საკავშირო თასზე. კენჭისყრამ უნდა გაარკვიოს, სად შედგება ეს ნახევარფინალური მატჩი: თბილისში თუ ბაქოში.

ჩვენი გუნდის მხრივ კენჭისყრაში მონაწილეობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი.

1970 მექსიკა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 2 ივლისის ტურის მატჩებში გატანილი გოლების ავტორთა ვინაობა.

ორჯონიკიძის „სპარტაკისა" და „ფახთაქორის" შეხვედრაში (0:1) ბურთი გაიტანა როდიონოვმა.

„ზენიტი" თავის მინდორზე ორჯერ აგებდა „შახტიორთან" (0:1, 1:2), მაგრამ მაინც გაიმარჯვა — 3:2. სტუმართაგან გოლები გაიტანეს კონკოვმა და კოზინკევიჩმა, მასპინძელთაგან — ბურჩალკინმა, კოზმა და გონჩაროვმა.

4 გოლი იქნა ფიქსირებული „ჩერნომორეცისა" და მინსკის „დინამოს" შეხვედრაში, ანგარიში გახსნა მინსკელმა კურნევმა, შემდეგ პორკუიანმა ორჯერ აიღო „დინამოს" კარი და, ბოლოს, სახაროვმა აღადგინა თანაფარდობა — 2:2.

## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




# ლიდერთა სამეულთან ახლოს

4 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩი.

რიგა. ადგილობრივმა არმიელებმა კაუნასის „ჟალგირისს" უმასპინძლეს. პირველ ტაიმში უმნიშვნელო უპირატესობა „ჟალგირისის" მხარეს იყო — 41:36. ლიტველებმა ბოლომდე შეინარჩუნეს 5-ქულიანი სხვაობა და გაიმარჯვეს კიდეც — 81:76. ამ გამარჯვებით „ჟალგირისი" მჭიდროდ მიადგა ლიდერთა სამეულს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივლისისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 28 | 25 | 3 | 2348—1961 | 25 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 28 | 21 | 7 | 2094—1875 | 21 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 26 | 20 | 6 | 2074—1861 | 20 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 27 | 20 | 7 | 2133—2041 | 20 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 27 | 15 | 12 | 2186—2107 | 15 |
| „კალევი" (ტარტუ) | 27 | 14 | 13 | 2123—2111 | 14 |
| „დინამო" (თბილისი) | 27 | 14 | 13 | 2166—2186 | 14 |
| ასკ (კიევი) | 27 | 10 | 17 | 1937—1977 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 28 | 8 | 20 | 2018—2253 | 8 |
| ასკ (რიგა) | 27 | 7 | 20 | 1978—2142 | 7 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 26 | 5 | 21 | 1932—2184 | 5 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 27 | 4 | 23 | 1961—2231 | 4 |

# ახალი შეხვედრა ოლიმპიურ ჩემპიონთან

ცურვის მოყვარულები, რომლებიც კვირას მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის აუზს ეწვივნენ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ შეხვდნენ ოლიმპიურ ჩემპიონს, ქვეყნის პირველობებში მრავალგზის გამარჯვებულ გ. პროზუმენშჩიკოვას. მართალია, ახლა მისი გვარი სტეპანოვაა: გალინა გათხოვდა. მისი გოგონა ირინა უკვე ათი თვისაა.

გალინასთვის მონაწილეობა მოსკოვის პირველობაში, რომელიც 7 ივლისს დამთავრდება, სპორტის საყვარელ სახეობაში დაბრუნებას ნიშნავს. ამ დღეს პროზუმენშჩიკოვა პირველობდა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში — 2. 46,0.

სტეპანოვა-პროზუმენშჩიკოვას გარდა, მოსკოვის ჩემპიონატში მონაწილეობენ ისეთი ცნობილი მოცურავეები, როგორიც არიან ა. დუნაევი, ს. ბელიც-გეიმანი, ნ. პანკინი და სხვ. (საკდესი).

# იქთიანდრები ნაპირზე გამოდიან

პიარნუ (ესტონეთის სსრ), 5 ივლისი. მოონზუნდის არქიპელაგის ლამაზ სანაპიროზე დამთავრდა ორდღიანი შეჯიბრება წყალქვეშ ნადირობაში. შეჯიბრება ზედიზედ მეოთხედ მოაწყვეს სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტებმა — ტალინის რეზინის ნაკეთობათა ფაბრიკა „ტეგურის" მუშა-მოსამსახურეებმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველობდნენ ტალინის საზღვაო კლუბის იქთიანდრები. პირად შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ესტონელი ა. ლიპი, რომელმაც 12 გველთევზა და ქარიყლაპია მოინადირა (სულ 8 კგ და 760 გრ). ყველაზე დიდი ქარიყლაპია (5 კგ. 960 გრ.) გამოიტანა ნაპირზე ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გუნდის წარმომადგენელმა რ. კიკერპილმა, რომელმაც სპეციალური პრიზი მიიღო.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა სსრ კავშირის წყალქვეშა სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, მფრინავმა-კოსმონავტმა გ. შატალოვმა.

— ჩვენს კოსმოსურ ქალაქში ბევრია გატაცებული წყალქვეშ ნადირობით და, საერთოდ, წყალქვეშა სპორტით. ეს მარტო ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ვარჯიში როდია. წყალქვეშა სპორტი საუცხოო საშუალებაა ჰიდროუწონადობის პირობებში წვრთნისთვის, — თქვა სტუმარმა.

თავად შატალოვი 14 წელია მისდევს წყალქვეშა სპორტს. იგი ამ დღეებშიც შეჯიბრების მონაწილეებთან ერთად გავიდა ზღვაში.

## ტელეგრამები რაიონებიდან

### ✦ ზუგდიდი

ამას წინათ ზუგდიდის დოსაფის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა სარაიონთაშორისო ლაშქრობა პირად-გუნდურ პირველობაზე ავტო-მოტოსპორტში მარშრუტით: ხობი — ზუგდიდი — წალენჯიხა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, წალენჯიხის და ხობის რაიონების დოსაფის კომიტეტების ნაკრები გუნდები. I ადგილი დაიკავეს წალენჯიხის, II — ხობის, III — ქ. ზუგდიდის კოლექტივებმა.

ავტომობილისტებში ყველას აჯობა გ. კვარაცხელიამ (წალენჯიხა), მოტოსპორტში — ა. პაპავამ (ზუგდიდი).

გ. ალშიბაია.

### ✦ ტყვარჩელი

2 თვე გასტანა „განთიადის" საქალაქო პირველობამ ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 12 გუნდი.

წარმატებით დაამთავრეს გათამაშება ცენტრალური გამაუხშვებელი ქარხნის ფეხბურთელებმა, რომლებმაც I ადგილი დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე არიან მე-2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორისა და მე-3 შახტის გუნდები.

შ. ბიბლაია.

### ✦ წითელი წყარო

დამთავრდა სარაიონო თასის გათამაშება ფეხბურთში საკოლმეურნეო გუნდებს შორის.

წარმატება წილად ხვდა სოფ. არბოშიკის კოლმეურნეობის გუნდს, სადაც კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ა. ლადაშვილი, ჯ. დათუკიშვილი, ვ. ზუბიაშვილი და სხვანი.

გ. კაკალაშვილი.

### ✦ კასპი

ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირადგუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საწარმოოდაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდები.

ყველას აჯობეს ოკამის საბჭოთა მეურნეობის, ზემო ხანდაკისა და ახალქალაქის კოლმეურნეობების მსროლელებმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

# დოლაბერიძის გადამწყვეტი სროლა

საქართველოს კალათბურთელთა ჩემპიონატში მონაწილეობს ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდი, რომლებიც ორ-ორ ქვეჯგუფად არიან დაყოფილი. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შექმნიან ფინალისტთა ოთხეულს, რომელიც საპრიზო ადგილებს გაითამაშებს.

ორი კალენდარული ტურის შემდეგ ქვეჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა:



#### ქალები

პირველი ქვეჯგუფი (მონაწილეობენ თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, აფხაზეთისა და სამტრედიის კალათბურთელები). ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვიან თბილისის ორივე სასწავლებლის სტუდენტები. მათ ფაქტიურად გაინაღდეს ფინალში თამაშის უფლება.

მეორე ქვეჯგუფი (თბილისის „უშბა" და „შრომითი რეზერვები", საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რუსთავი). აქ დამაჯერებლად თამაშობენ „უშბის" წარმომადგენლები, რომლებმაც ორივე შეხვედრა მოიგეს. თითო მოგება აქვთ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებს.

#### ვაჟები

პირველი ქვეჯგუფი. (უნივერსიტეტი, აფხაზეთი, აჭარა, თბილისის ახალგაზრდული ნაკრები). წარმატებით ასპარეზობენ უნივერსიტეტელები, რომლებმაც პირველ დღეს დაამარცხეს ქალაქის საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდული ნაკრები. უნივერსიტეტის გუნდი ლიდერია.

მეორე ქვეჯგუფი. („მეტრომშენი", სამედიცინო ინსტიტუტი, ქუთაისი და რუსთავი). გამარჯვებით დაიწყეს ტურნირი „მეტრომშენის" კალათბურთელებმა: პირველ ტურში მათ სძლიეს სამედიცინო ინსტიტუტის წარმომადგენლებს, მაგრამ მეორე დღეს მარცხი განიცადეს ქუთაისელებთან შეხვედრაში. ეს იყო ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო და დრამატული ორთაბრძოლა. პირველი ტაიმი „მეტრომშენმა" მოიგო ანგარიშით 34:29. შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი ხელთ იგდეს უპირატესობა. და მაინც, შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ქუთაისელი დოლაბერიძის ერთმა ზუსტმა სროლამ — 78:76.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

#### ტექნიკური შედეგები

##### ქალები

პირველი ქვეჯგუფი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — სამტრედია 75:33 (25:11), უნივერსიტეტი — აფხაზეთი 51:35 (25:14), უნივერსიტეტი — სამტრედია 76:45 (37:27), სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი — აფხაზეთი 65:50 (21:23).

მეორე ქვეჯგუფი. „უშბა" — „შრომითი რეზერვები" 67:37 (41:27), ფიზკულტურის ინსტიტუტი — რუსთავი 62:26 (32:13), „უშბა" — ფიზკულტურის ინსტიტუტი 48:39 (25:22), „შრომითი რეზერვები" — რუსთავი 79:48 (42:16).

##### ვაჟები

პირველი ქვეჯგუფი. უნივერსიტეტი — ახალგაზრდული ნაკრები 78:71 (42:30), უნივერსიტეტი — აფხაზეთი 73:55 (38:30), ახალგაზრდული ნაკრები — აჭარა 93:58 (35:24).

მეორე ქვეჯგუფი. ქუთაისი — რუსთავი 59:37 (27:21), „მეტრომშენი" — სამედიცინო ინსტიტუტი 70:59 (23:21), სამედიცინო ინსტიტუტი — რუსთავი 67:37.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისისა და „მეტრომშენის" გუნდების შეხვედრის მომენტი. შეტევაზე არიან ქუთაისელი კალათბურთელები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# პირველი პრიზები შინ რჩება

სოჭი, 6 ივლისი. მესამე საერთაშორისო ტურნირში, რომელიც აქ გუშინ დამთავრდა, ყველა პირველი ადგილი საბჭოთა მოჭიდავეებს — სამბოს ფუძემდებლებს ხვდათ. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, ჰოლანდიის, მონღოლეთის, იაპონიისა და სსრ კავშირის სამბისტები. სამდღიანი ასპარეზობის ჯამში სამახსოვრო ოქროს მედლები მიიღეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ლენინგრადელმა ვ. კიულენემ, ომსკელმა ა. ხოშმა, სარატოველმა კ. გერასიმოვმა, ჩელიაბინსკელმა ვ. დვოინიკოვმა, გორელმა ვ. ბორჩაშვილმა, ორჯონიკიძელმა ხ. კასოევმა, კ. რომანოვსკიმ და ა. ტროფიმოვმა მოსკოვის ოლქიდან, ვ. უსიკმა და ვ. გუცუმ კიშინიოვიდან.

საბჭოთა ოსტატებს სერიოზული მეტოქეობა გაუწიეს სტუმრებმა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მონღოლი დ. ბატარუავი, შარშანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ბულგარელი ი. მურადოვი, აგრეთვე იაპონელი ათლეტები ტ. კოსიძუკი და ტ. იტინოხე.

ტურნირის სამი დღის მანძილზე „რივიერას" სპორტულ სარბიელს 9 ათასამდე მაყურებელი ეწვია. მათ შორის იყვნენ სტუმრები უნგრეთიდან, გდრ-დან, პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, მონღოლეთიდან, ერაყიდან, შვეიცარიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ჰ. ხაჩკოვანიანი.
(საკდესის სპეც. კორ.).

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### ჩვენ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 61-ე წუთზე გაიტანა გ. ნოდიამ.

ტაშკენტში ქუთაისის „ტორპედო" შეხვდა ადგილობრივ „ფახთაქორს". მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბაქოს „ნევთჩიმ" თავის მინდორზე დაამარცხა ერევნის „არარატი" — 3:0.

### $20^{45}$

◆ ბერლინი, 6 ივლისი. ორ დღეს მიმდინარეობდა ბრანდენბურგის ტრადიციული რეგატა, რომელშიც 8 ქვეყნის—სსრ კავშირის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ჰოლანდიისა და გდრ-ის აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატი ქალების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. ფინალური სერიების უმეტესობა საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს. განსაკუთრებით ისახელა თავი ევროპის ჩემპიონმა გ. შიდაგიტემ (კაუნასი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე


„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




სსრ კავშირის პირველობა

I ჯგუფი

დღეს

„ლოკომოტივი" (თბილისი)—„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04338